მშვიდობის გმირი არმია

საბჭოთა არმიის დღე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 46 (12558) | შაბათი, 23 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს, ყოფილ მეომრებს, რომლებიც ამჟამად თადარიგში და სამსახურიდან გადამდგარი არიან, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს.

სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც შექმნეს კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე, განვლეს ჭეშმარიტად გმირული გზა, მარადიული დიდებით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები და მედგრად დგანან მშობლიური ქვეყნის მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არმიამ და ფლოტმა სასტიკად დაამარცხეს უცხოეთის ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალები, დაიცვეს საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მძლავრი დარტყმებით შემუსრეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოები დიდ სამამულო ომში. მარად იცოცხლებს ადამიანთა გულში საბჭოთა ხალხისა და მისი მეომრების გმირობა, რომლებმაც დაიცვეს თავიანთი საყვარელი სამშობლო, ძმური დახმარება გაუწიეს ევროპისა და აზიის ხალხებს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებაში.

სოციალისტური სამშობლოსადმი უანგარო სამსახურით, ინტერნაციონალური მოვალეობის თავდადებულად შესრულებით საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საყოველთაო სიყვარული და მადლობა დაიმსახურეს.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ძლიერება მტკიცედ ემყარება სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, მძლავრ თანამედროვე შეიარაღებას, მეომართა მაღალ მხედრულ ოსტატობასა და პოლიტიკურ შეგნებულობას, ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და მხარდაჭერას. საბჭოთა ადამიანებს მხურვალედ უყვართ თავიანთი არმია. ამაყობენ მისი სახელოვანი საბრძოლო გმირობით, წმიდად იცავენ გმირი მეომრების ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ახლა შეიარაღებული ძალები აღუჭურვილი არიან ყველაზე სრულყოფილი იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით, რომლებიც მარჯვედ უპყრიათ ხელთ სამშობლოს, კომუნისტური პარტიისა და თავიანთი ხალხის უსაზღვროდ ერთგულ მეომრებს.

არმიისა და ფლოტის 45-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები აღნიშნავენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების — კომუნიზმის აშენების პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა დიდი აღმავლობის გზაზეა. წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. საბჭოთა კავშირთან ერთად მტკიცედ მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობის მშრომელები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, დაუცხრომლად იბრძვიან მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, აგრესიული ომებისაგან კაცობრიობის ხსნისათვის. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი ლენინის მითითება, რომ იმპერიალიზმს სერიოზული საფრთხე მოაქვს მთელი კაცობრიობისათვის, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, კვლავ არის იმის საფრთხე, რომ იმპერიალისტები ატეხენ აგრესიულ ომებს. იმპერიალიზმის ძალები, რომლებიც გრძნობენ თავიანთ ისტორიულ განწირულობას და სოციალიზმის ქვეყნების სულ უფრო მზარდ ძლიერებას, ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება, აქტიურებენ თავიანთი დაზვერვის ხრიკებს, აწყობენ უგუნურ პროვოკაციებს და ქმნიან მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხეს.

ამ პირობებში ყველა საბჭოთა ადამიანმა, შეიარაღებული ძალების მეომრებმა დაუცხრომლად უნდა აამაღლონ სიფხიზლე და ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება მუდამ იყოს იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი აგრესორის გადამწყვეტ და სრულ განადგურებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების სახელოვანი მეომრები, რომლებიც აღზრდილი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე, მჟიდროდ არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიის გარშემო, კვლავაც ფხიზლად და საიმედოდ დაიცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას.

ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანო მეომრებო! არ დაიშუროთ ძალღონე და ენერგია, სრულყავით თქვენი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, ბეჯითად დაეუფლეთ თქვენთვის მონდობილ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, ამრავლეთ სამხედრო საქმის ოსტატთა რიგები, დაუცხრომლად განამტკიცეთ დისციპლინა, ორგანიზებულობა და მხედრული წესრიგი!

ყოველი ღონისძიებით გააძლიერეთ სიფხიზლე და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა, მუდამ მზად იყავით იმისათვის, რომ პარტიისა და ხალხის მოწოდებით, საბჭოთა მთავრობის ბრძანებით პირნათლად და ღირსეულად შეასრულოთ თქვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე!

განუწყვეტელივ განამტკიცეთ ურღვევი ძმობა და საბრძოლო მეგობრობა სოციალიზმის ქვეყნების არმიების მეომრებთან!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ სახელოვან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1963 წლის 23 თებერვალი *№ 26* *ქ. მოსკოვი*

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები დღესასწაულობენ საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ორმოცდამეხუთე წლისთავი აღინიშნება იმ ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხი შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება, ხელს შეუწყობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, ხალხის მასების დაუშრეტელი შემოქმედების სულ უფრო ფართო გამოვლინებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და განუხრელად იბრძვიან ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის. სოციალიზმისა და მშვიდობის ძალებს უნარი შესწევთ ალაგმონ იმპერიალისტი აგრესორები. მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ რეაქციისა და ომის ძალებს ხელი არ აუღიათ მსოფლიო თერმოატომური ომის ატეხის გიჟურ გეგმებზე. ამიტომ კომუნისტური პარტია მოითხოვს კვლავაც გამოვიჩინოთ დიდი სიფხიზლე, განუხრელად განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა, დაუცხრომლად ავამაღლოთ არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნა.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც შექმნეს და გამოზარდეს პარტიამ, დიდმა ლენინმა, ბევრი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. გაფთრებულ ბრძოლებში მათ გაანადგურეს მრავალი მტერი. ახლა საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი აღჭურვილი არიან უაღრესად მძლავრი და სრულყოფილი საბრძოლო საშუალებებით და ფხიზლად დგანან კომუნისტური მშენებლობის სადარაჯოზე, მათი პირადი შემადგენლობა უსაზღვროდ ერთგულია კომუნიზმის საქმისადმი, მჟიდროდ შეკავშირებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. უძლეველი საბრძოლო ძლიერების მეობებით ჩვენი შეიარაღებული ძალები მშვიდობის შენარჩუნების, იმპერიალისტი აგრესორების ალაგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მშვიდობისმოყვარე ხალხთა უშიშროების ბურჯია.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო! გილოცავთ საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს! ყოველდღიურად აამაღლეთ ჯარების სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა, განუხრელად სრულყავით თქვენი პოლიტიკური ცოდნა და საბრძოლო ოსტატობა, ბეჯითად დაეუფლეთ ახალ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, მტკიცედ დაიცავით კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის, სამხედრო ფიცისა და წესდებათა მოთხოვნები, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ დისციპლინა და ორგანიზებულობა! მუდამ მზად იყავით გაანადგუროთ ყოველი აგრესორი!

საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში მიცემულ იქნეს სალუტი ორმოცდახუთი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხსა და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.

სოციალისტური სამშობლოს ძლიერი და საიმედო გუშაგი

საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

ორმოცდახუთი წელია შეუდრეკლად დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ძალები. ძმიმე განსაცდელთა ცეცხლში, დედამიწაზე, ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებულ ბრძოლაში დაიბადნენ და გამოიწრთნენ ისინი. მათი გზა მკაცრი და გმირულია.

თავიანთი ისტორიული მისიის ამაყი შეგნებით იბრძოდა და იმარჯვებდა საბჭოთა ქვეყნის არმია. ჩვენს მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ სამშობლოს არაერთგზის მოახვიეს თავს ომები მისმა მტრებმა, და ამ მტრებს არაერთგზის უგრძნიათ საპასუხო დარტყმის გამანადგურებელი ძალა.

საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს სამშობლოს ერთგული მებრძოლი დამცველები და ამაყობს ამ დაცველებით. ისინი გარემოსილი არიან ყოველდღიური მამობრივი ზრუნვით. არმია და ხალხი ჩვენში ერთიანია, დაკავშირებული არიან ულოვანი სასიცოცხლო ურთიერთობით. ამიტომ შეიარაღებული ძალების დღესასწაული საყოველთაო სახალხო დღესასწაულია.

ჩვენი ქვეყანა ფართოდ აღნიშნავს საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს. დღესასწაულის ცენტრალური მოვლენა იყო მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა პატიოსანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არმიისა და ფლოტის წარმომადგენლებთან ერთად.

22 თებერვალი, კრემლის ყრილობათა სასახლე. სცენაზეა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ჩვენი შეიარაღებული ძალების ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი. საბრძოლო დიდებით გარემოსილ დროშებთან სალატინ ყარაულში დგანან ყველა გვარეობათა ჯარების წარმომადგენლები. მწყობრში ორი თანრიგი — „1918 და 1963“.

17 საათი. მხურვალედ, მქუხარე ტაშით ხვდება დარბაზი პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ბ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიკოიანს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ი. პოლიაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ბ. რუდაკოვს, ვ. ნ. ტიტოვს, ა. ნ. შელეპინს. აქვე არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **რ. ი. მალინოვსკი**, საბჭოთა კავშირის მარშლები **ა. ა. გრეჩკო, მ. ვ. ზახაროვი**, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი **ა. ა. ეპიშევი**, საბჭოთა კავშირის მარშლები **ს. ს. ბირიუზოვი, ვ. ი. ჩუიკოვი**, ავიაციის მთავარი მარშალი **კ. ა. ვერშინინი**, ფლოტის ადმირალი **ს. გ. გორშკოვი**, ავიაციის მარშალი **ვ. ა. სუდეცი**, საბჭოთა კავშირის მარშლები **ი. ჰ. ბაგრამიანი, ს. მ. ბუდიონი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. ერემენკო, ნ. ი. კრილოვი, ი. ს. კონევი, კ. ს. მოსკალენკო, კ. ა. მერეცკოვი, ვ. დ. სოკოლოვსკი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **ნ. რ. მირონოვი, ფ. დ. სერგინინი**, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. გ. ეგორიჩევი**, მინისტრები, გენერლები და ადმირალები, სამხედრო ტექნიკის შემქმნელი თვალსაჩინო კონსტრუქტორები. დამსწრეთა შორის არიან კოსმონავტები **ი. გაგარინი, გ. ტიტოვი, ა. ნიკოლაევი, პ. პოპოვიჩი.**

საზეიმო სხდომა გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. მ. კალაშნიკოვმა.**

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აიჩაჩეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენებისათვის „45 წელი სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე“ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს **რ. ი. მალინოვსკის.**

— გაიცლის საუკუნეები, — ამბობს მარშალი **რ. ი. მალინოვსკი.** — ბევრი რამ დაავიწყდებათ ადამიანებს. მაგრამ არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას, მარად იცოცხლებს ადამიანთა მეხსიერებაში ჩვენი ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების საგმირო საქმენი, რაც ჩაიდინეს მათ მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის ბრძოლაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეარყია ძველი სამყაროა და დასაბამი მისცა ახალ ეპოქას კაცობრიობის განვითარებაში — სოციალიზმის, კომუნიზმის ეპოქას. რუსეთის მუშათა კლასი ღარიბ გლეხობასთან ერთად, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ დადგა ისტორიის საჭესთან.

ამასთანავე ჩვენი რევოლუციის გამარჯვებამ მისი უაბრავი მტრის გაფთრებული გაბოროტება გამოიწვია. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტებს არ სურდათ შერიგებოდნენ იმას, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში დადგა განთავისუფლების გზა. მათ გაფაცაცებით დაიწყეს ისეთი ძალის შეკოწიწება, რომელსაც უნარი შესწევდა მოეწესო ოქტომბრის მონაპოვარი და ეკუღმა დაეტრიალებინა ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა. ამერიკელმა, ინგლისელმა, ფრანგმა და სხვა იმპერიალისტმა ავაზაკებმა დაიწყეს 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს ლაშქრობა ჩვენს წინააღმდეგ და გადაწყვიტეს მაშინ ჩაეხშოთ საბჭოების რესპუბლიკა, გადაეტაცნათ რუსეთი თავიანთ კოლონიად. და ისინი შეძლებდნენ ამას, ჩვენს ხალხს რომ ხელი არ მოეკიდა იარაღისათვის, რომ არ აღმსდგარიყო განმათავისუფლებელი ომისათვის საერთაშორისო და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ.

ერთმანეთს მოჰყვა ანტანტის ლაშქრობანი, ერთ საომარ კამპანიას მეორე ცვლიდა, იქმნებოდა სულ ახალი ფრონტები, რომლებიც ცეცხლის რკალად ეფრთიხდებოდნენ და გარს ერტყმოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. გერმანელმა იმპერიალისტებმა დაარღვიეს დაზავების პირობები და პირველმა დაიწყეს შეტევა რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ. წითელი გვარდიის რაზმებმა, რომლებიც დიდი ლენინის მოწოდებით შეიქმნა, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელთა ჯარების ჯარბ ძალებს და 23 თებერვალს ფსკოვთან სერიოზული დამარცხება მიაყენეს მათ. ეს პირველი საბრძოლო წარმატება მოახსენებდა წითელი არმიის დაბადებას. ამრიგად, 45 წლის წინათ, ინტერვენტების წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლა ცეცხლში დაიბადა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რომლებმაც უნდა დაიცვან ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი, დაიცვან მშრომელთა სოციალისტური სამშობლო.

ვერც შიმშილმა, ვერც ნგრევამ, ვერც ეპიდემიებმა — ვერაფერმა ვერ გატეხა გამარჯვებისადმი მისწრაფება. ახალგაზრდა წითელმა არმიამ საბჭოთა ქვეყნის მუშებთან და გლეხებთან ერთად სასწაული მოახდინა და მთლიანად გაანადგურა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების დაქირავებული ურდოები, მოიგერია იმპერიალისტთა პირველი დიდი შეიარაღებული შემოსევა ჩვენს ქვეყანაში, დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

იმპერიალისტებისათვის უსახელოდ დამთავრდა ყველა მათი ცდა ჩანასახშივე ჩაეხშოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

შემდეგ თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც იმპერიალისტები არ გვასვენებდნენ. ისინი დრო და დრო შეიარაღებული გზით სინჯავდნენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას. 1929 წელს მათ ასეთი ცდა მოახდინეს ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზაზე, შემდეგ იაპონიის მხედრიონის დახმარებით განახორციელეს პროვოკაციული მოქმედება ხასანის ტბასთან 1938 წელს და მდინარე ხალხინ-გოლზე 1939 წელს. ყველასათვის ცნობილია, თუ რა სავალალო შედეგებით დამთავრდა ყველა ეს საომარი პროვოკაცია.

მაგრამ არც ამ გაკვეთილს მოუტანია იმპერიალისტებისათვის სარგებლობა. ისინი განაგრძობდნენ ძალების შეკოწიწებას, რომელთა გამოყენებასაც ერთხელ კიდევ შეძლებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ დანაშაულებრივ ძალადობებმა — ვერაფერმა ვერ გატეხა გამარჯვებისადმი მისწრაფება. ახალგაზრდა წითელმა არმიამ საბჭოთა ქვეყნის მუშებთან და გლეხებთან ერთად სასწაული მოახდინა და მთლიანად გაანადგურა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების დაქირავებული ურდოები, მოიგერია იმპერიალისტთა პირველი დიდი შეიარაღებული შემოსევა ჩვენს ქვეყანაში, დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

ომებმა ინტერვენტებისა და ბალტიის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხეიმი სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45-ე წლისთავისადმი.

დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა არმიის მეომრები, წარმოების მოწინავეები; პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, შ. ი. ჭანუკვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია.**

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ.**

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდია.

ტაშის გრიალში შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა **ა. ტ. სტუჩენკომ.**

სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატებებით ხვდებიან საბჭოთა არმიის ორმოცდამეხუთე წლისთავს.

სურათზე: საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი მეომრების ჯგუფი (მარცხნიდან) ს. გრიგორიევი, ვ. პოლიახოვი, რ. იბრაგიმოვი, პ. ციბკო, გ. ნერსესოვი, პ. მარკარიანი, მ. კულუმბეგოვი, ბ. ალეკანოვი, ა. ციცილაშვილი, ჯ. გოგლიძე, გ. შუპლიუკი, მ. მათევოსიანი, ვ. ალიმოვი, ნ. კუბარიკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მონოგისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება დოქტორ უ. დიუბუასადმი

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განის დედაქალაქ აკრაში დოქტორ უილიამ დიუბუას — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც მხურვალედ ულოცავს 95 წლისთავს და სულითა და გულით უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ახალ ძალღონეს კეთილშობილურ საქმიანობაში კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, ნათქვამია დეპეშაში, კარგად გიცნობენ და გაფასებენ თქვენ როგორც გამოჩენილ მეცნიერსა და მონობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ფინეთის პრემიერ-მინისტრს აჰტი კარიალაინენს

22 თებერვალს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ნ. ს.** ხრუშჩოვისა და ფინეთის პრემიერ-მინისტრის აჰტი კარიალაინენის საუბარი. ფინეთის მთავრობის მეთაურთან ერთად იყო ფინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ირმრა ი. ვანამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და საბჭოთა კავშირის ელჩმა ფინეთში ა. ვ. ზახაროვმა.

საუბრის დროს, რომელიც გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების საკითხები. აღძრული საკითხების განხილვა მიმდინარეობდა გულახდილობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით. (საკდესი).

საუზმე ფინეთის პრემიერ-მინისტრთან

ფინეთის პრემიერ-მინისტრმა აჰტი კარიალაინენმა და მისმა მეუღლემ პიაი კარიალაინენმა 22 თებერვალს საუზმე გამართეს ფინეთის საელჩოში.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეს ესწრებოდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, აჰტი კარიალაინენმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

საზეიმო სხდომა თბილისში

22 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხეიმი სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45-ე წლისთავისადმი.

დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა არმიის მეომრები, წარმოების მოწინავეები; პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, შ. ი. ჭანუკვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია.**

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ.**

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდია.

ტაშის გრიალში შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა **ა. ტ. სტუჩენკომ.**

სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ერთიანია ხალხი, არმია...

მეშრომელები ულოცავენ საბჭოთა არმიელებს დღესასწაულს

ლეგენდარული საბჭოთა არმიის სახელოვანი 45 წლისთავის წინა დღეებში საბჭოთა არმიის № ნაწილიდან მოვიდა სასიხარულო წერილი. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში აღზრდილი ახალგაზრდები, ამჟამად გვარდიის რიგითი მებრძოლები სიღნაღელი ზაურ ჩუთლაშვილი, დუშელი ანზორ ებიტაშვილი, გეგეჭკორელი ჯემალ ბეჭვაია და თეთრწყაროელი გიორგი მინასოვი პოლიტიკურ და საბრძოლო მომზადებაში მოპოვებული ახალი გამარჯვებებით ხვდებიან საბჭოთა არმიის სახელოვან 45 წლისთავს.

წერილში იყო გამოთქმული მადლობა იმ კოლექტივებისა და პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც აღზარდეს და შრომაში გამოაწრთეს ზ. ჩუთლაშვილი, ა. ებიტაშვილი, ვ. ბეჭვაია, გ. მინასოვი.

„ КОМУНИСТИ“ რედაქცია ღაუკავშირდა სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ბოდბის კალინინის სახელობის, თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს სოფელ კოდის, დუშეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობებს და გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკას, სადაც მუშაობდნენ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე სახელოვანი მებრძოლები.

ვბეჭდავთ წერილებს გვარდიელთა მშობლიური კოლექტივებიდან.

□ □

ჩვენს თანამემამულეს

ძვირფასო ზაურ! სიხარულით შევიტყეთ, რომ შენ ტოლ-ამხანაგებთან ერთად ენერგიის დაუზოგავად ეუფლები სამამულო მძლავრ სამხედრო ტექნიკას; დისციპლინითა და სიმამაცით მოგიხვეჭია სახელი მთელ სამხედრო ნაწილში. ამით ვამაყობთ შენი თანასოფლელები. ჩვენი სურვილია, რომ კიდევ მეტად იბეჭდოთო.

აგრესორებს უნდათ ახალი ომის ხანძარი დაანთონ. ეს თქვენ, საბჭოთა არმიელებს, გავალებთ მუდამ იყოთ ფხიზელნი, მამაცურად იცავდეთ მშვიდობას.

ჩვენო ზაურ! გვინდა მოგითხროთ შენს თანასოფლელთა შრომაზე. ივრისპირეთსა თუ ალაზნის ველზე გაზაფხული მობრძანდება. შენ პირველ რიგში, ალბათ, მექანიზატორთა საქმიანობა გაინტერესებს, რადგანაც პროფესიით შენც მექანიზატორი ხარ. № 1 სატრაქტორო ბრიგადას დამსახურებული მექანიზატორი ილია ბეგაშვილი ხელმძღვანელობს. მამაშენი მიხეილი ბრიგადირის მოადგილეა. იგი კეთილსინდისიერად მამაცობს.

ხორბალი 1.500 ჰექტარზე გვითესია. მექანიზატორებს საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქები შეაქვთ, მალე დაზიგზაგებას დაიწყებენ. სიმინდი 500 ჰექტარზე უნდა დავთესოთ. შენი ამხანაგები ტრაქტორისტები ე. ნანდოშვილი, რ. ჯანიკაშვილი, ა. ძმანაშვილი და სხვები დღიურ დავალებას ორმაგად ანაღდებენ.

დიდი შრომითი აღმავლობაა ზვრებშიც. ბრიგადამ, რომელსაც მიხეილ ჩუთლაშვილი ხელმძღვანელობს, ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 72 ცენტნერამდე აიყვანა.

თავდადებულად შრომობენ მეცხოველეებიც. გვყავს 360 სული ძროხა. მიმდინარე წლის იანვარში შარშან ამავე პერიოდთან შედარებით ოთხი ათასი ლიტრით მეტი რძე მივიღეთ. თებერვალში კიდევ უფრო გაიზარდა წველადობა. მწველავთა შორის ავეზა ჩუთლაშვილი. სანდრო კაღაშვილი და ქარუმ კანიაშვილი პირველობენ.

ივრისპირეთში ცხვარ-ბატკანი მრავლდება. პირველი იანვრისათვის 12.500 სული ცხვარი გყავდა. აქედან 7.700 ნერბია. დოლი კარგახანია დაიწყო. ბრიგადაში, რომელსაც შალვა ძმანაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე 650 ნერბი დადოლდა. საბატკნეებში შვიდასამდე ნორჩი კუნტრუშობს. მეცხვარეებმა იოსებ ბახუტაშვილმა და გოგია ჯანიაშვილმა შუქურების სახელი დაიმსახურეს.

ყუბანელმა კოლმეურნეებმა მოგვიწოდეს გავაჩაღოთ სიუხვისათვის ლაშქრობა. შვიდწლედის მეხუთე წელს ჩვენ ვიკისრეთ სახელმწიფოს მიეყიდოთ 1.260 ტონა მარცვლეული, 200 ტონამდე ხორცი, 400 ტონა რძე, 400 ტონა ყურძენი, 250 ათასი ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები. ამ ვალდებულების სასახელოდ შესასრულებლად ყველა მონდომებით შრომობს.

დარწმუნებული ვართ, რომ სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ ჩვენთან დაბრუნდები. მაშინ შენ თვითონ შენს თანამემამულეებს სიუხვის შესაქმნელად.

გისურვებთ წარმატებებს!

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ჯანიაშვილი, პარტიული ბიუროს მდივანი ბიბი ლაზარიაშვილი, კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის მერგოლური ბაიოზ ბეგაშვილი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ილია ბეგაშვილი, ტრაქტორისტი რ. ხუნაშვილი.

მუთბლიური სოფლის ზმა — მეთმაკრს

საბჭოთა არმიის სახელოვანი 45 წლისთავის დღეს გვინდა მოგმართოთ თქვენ, უცნობო მეგობრებო, რომლებიც ჯემალთან ერთად გადიხართ სამხედრო სამსახურს.

გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს დღესაც კარგად გვახსოვს ის დღე, როცა ჯემალ ბეჭვაია საბჭოთა არმიის რიგებში გავაცილეთ. ეს იყო 1961 წელს. საზეიმო გაცილებისას კომკავშირის რაიკომის მდივანი, ფაბრიკის ხელმძღვანელები ბევრს ამბობდნენ ჯემალის საქმიანობაზე — ფაბრიკაში ნაყოფიერად შრომობდა, ყველასთვის მაგალითი იყო, თავს არც არმიაში შეირცხვენსო.

— ამ დღეებისთვის იბრძოდა მამაჩემიც, ჩვენი ბედნიერებისთვის შეეწირა ფაშისტებს, მეც ღირსეულად უნდა დავცვა ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, — გაიფიქრა ჯემალმა და ეკაკაცურად დაემშვიდობა ყველას.

დედის ლოცვა და მეგობართა ღიმილი მოაცილებდა ვაჟკაცს.

ახლა ჯემალი პატრიოტულ მოვალეობას იხდის საბჭოთა არმიის რიგებში. სიხარულით შევიტყეთ, რომ აღმზრდელები უმადლიან მუყაოთ და თავაზიან ახალგაზრდას. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს ძლიერ უხარია ჯემალის წარმატებები სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ჯემალის ძმა ბონდო და ნოდარი ახლახან დაბრუნდნენ არმიიდან. უმცროსი ძმა — ზაურიც სამშობლოს დამცველთა რიგებშია. ბონდო და ნოდარი მხარში უდგანან დედა თამარს — აქტიურად შრომობენ კოლმეურნეობაში.

არც ის ფაბრიკა რჩება ვალში, სადაც ჯემალი მუშაობდა. შარშან ნაცვლად 377 ტონისა ფაბრიკამ გამოუშვა 436 ტონა სუნნელოვანი ქართული ჩაი, მიიღო მოგება, დიდი რაოდენობით დაზოგა საწვავი.

მიმდინარე წელს ფაბრიკა ემზადება 1.647 ტონა ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად.

ჩვენ გვაახლოვს და გვეყვარს ჯემალი, ეამყობთ, რომ ჩვენს კოლექტივში აღიზარდა ასეთი კარგი ვაჟკაცი.

მოგილოცავთ სოფლის არმიის 45 წლისთავს, მეგობრებო!

ბ. ხვიჩია — დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ალ. ბეჭვაია — ფაბრიკის პარტიბიუროს მდივანი, დ. შანიძე — ფაბრიკის უფროსი ტექნოლოგი, ჯ. გვილავა — ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ბ. რუსაია — მექანიკოსი, რ. მორგოშია — დამხარისხებელი.

ეს სტრიქონები დაწერილია სისხლით

...22 ივნისს დაიწყო ომი.

22 ივნისი წელიწადის ყველაზე დიდი დღეა.

ბომბავდნენ კიევს... ოდესას... ბრესტს...

ღამე მშვიდობისა — თქვა ძილისპირს მშრომელმა კაცმა.

დილა მშვიდობისა — აღარ ეთქმოდა იმ საზარელ დილას.

ბომბავდნენ კიევს... ოდესას... ბრესტს... უუმბარის ბოლმა დაფარა ზეცა, ცა გახდა ტყვიისფერი, რუხი.

წვიდნენ ფრონტზე მამები... ძმები, და... 1945 წლის 9 მაისს დაწვეს რაიხსტაგი.

„...ნუ მოიხვევთ დარდებს ღრუბლებად, რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“. სადღაც სანგარში მუხლისთავზე წერდა სევერიან ისიანი. ვერც სევერიანი დაუბრუნდა ლეჩხუმს.

ბევრი ვერ დაბრუნდა ომიდან

სამუდამოდ დალეწეს ჰიტლერის სამხედრო მანქანა.

ბრძოლები მოსკოვთან, კურსკთან სამხედრო ხელოვნების ნიმუშებად დარჩა. სტალინგრადთან ტყვედ ჩავარდა გერმანიის რჩეული მეექვსე არმია, ეს ის მეექვსე არმია გახლავთ, პარიზში რომ შევიდა „ლოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს“ სიმღერით.

ომი დამთავრდა და კაცმა მოიხსნა საბრძოლები, მაშინვე უშვა ხელი თოფს და წაეტანა ხელეჩოს, ბირდაბირს, ქაფჩას. დაიწყო სამშვიდობო ცხოვრება.

ომგადახდილ გულში კი სამუდამოდ დარჩა შეუცნობი სევდა სახელდახელოდ გაჭრილ სამარეში დატოვებულ ძმაკაცზე.

მშვიდობისათვის სიკვდილი სიცოცხლისათვის ბრძოლაა.

იმ ომით მოყენებული ჭრილობა ჯერ ისევ ღია იყო, ხიროსიმის ტრაგედია რომ დატრიალდა და ომის შორეული ლანდი ისევ გამოჩნდა სისხლის ფასად მოწშენდილ ცაზე.

ამიტომ არის საგულისხმო ომგადახდილთა და იმ ადამიანთა წერილები, რომლებმაც იგემეს ომის სიმწარე.

რედაქცია ყოველდღე იღებს ასეთ წერილებს. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა წერილები „57 უკვდავის“ შესახებ, ტყეშელაშვილისა და ბიბილაშვილის საგმირო თავგადასავალზე, საგრძნობლად იმატა ფოსტამ. იწერებიან სამხედრო პირები. დემობილიზებულები, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები, მუშები, გლეხები, მოსწავლეები...

ომგადახდილები იგონებენ საგმირო ეპიზოდებს, თანამებრძოლთა საგმირო ამბებს. მეტი წილი ეს მოგონებანი ვოლგის პირეთის ლეგენდარულ ბრძოლებს ეკუთვნის.

აი რას გვწერს ვოლგოგრადიდან სამხედრო პირი მ. ბაზაშვილი:

„ომის დამთავრების შემდეგ, რამდენადაც ქალაქის აღდგენა შეუძლებლად მიაჩნდათ, ამერიკელებმა სთხოვეს ჩვენებს ვოლგოგრადი ხელუხლებლად დატოვებინათ და მსოფლიოს გიგანტურ მუზეუმად გამოეცხადებინათ.

ახლა ვინ იცნობს ომგადახდილ ადგილებს. სულ სხვა, ახალი ქალაქი აღმოცენდა ნაქალაქევზე. მაგრამ ყველა იქაურის გულში ცოცხლობს მოგონება სისხლის წვიმების დღეებზე. აქ თითქოს ყოველ ქვას აწერია — სამარადიხო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!“

„ყველაზე დიდი ბრძოლები სატრაქტორო ქარხანასთან იყო, ჩემი ოცეულიც იქ იბრძოდა. უმრავლესობა დაიღუპა გმირული სიკვდილით. მე მძიმედ დავიჭერი უუმბარის ნამსხვრევით. დაუვიწყარია ის დღეები. მე და მეორე ოცეულის მეთაურმა გორელმა მარქარ მზარეულმა ერთმანეთს შევფიცეთ, ვისაც ჩვენ შორის ადრე მოკლავდნენ, დაუმარხავი არ დგებეგოვებინა.

მე მინდა ეს დღეები არასოდეს არ გამეორდეს, ყოველი დილა სამშვიდობო იყოს.

თადარიგის ლეიტენანტი ა. ბიწაძე, ვოლგოგრადის დაცვის მონაწილე. ქ. ჭიათურა. სოფელი ქვაციხე“.

„წავიკითხე წერილები ვოლგოგრადის მამაც დამცველთა შესახებ. თვალწინ გამიარეს ომებმა. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა. რა დამავიწყეს უშიშარ მებრძოლებს: კაპიტან ბურჯანაძეს, ლეიტენანტ კორტს, უფროს ლეიტენანტ ქარჩავას, უმცროს ლეიტენანტ ბიკოვს და სხვებს.

მე მინახავს ექიმები სისხლში მოსვრილი ხალათებით, დღედაღამ რომ მუშაობდნენ. მახსოვს, ერთ ბრგე ახალგაზრდას ორივე ხელი მოჰკვეთეს, სულ ახალგაზრდა მედიცინის დას ტირილი აუვარდა.

— ნუ ტირი, ჯარისკაცი ხარ!.. უთხრა ექიმმა გოგონას. ვინ იცის რაზე ტიროდა მედიცინის და!“

ქუთაისიდან გვწერს პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი ჯუმბერ კუტიშაძე.

მე მახსოვს არა მარტო ხელჩართული ბრძოლა, არამედ ვნახე, თუ როგორ აბრჩობდა ხელით ლეიტენანტი ლეონიო ჯიბლაშვილი ერთ აულაუუდა გერმანელს, იწერება ნოე ფარჯანიძე წყალტუბოდან.

„მე-2 და 98-ე ნაწილის მესაზღვრეები ანადგურებდნენ მტრის პატარა ჯგუფებს. მათ დაიკავეს ქალაქის კომენდანტი რიბარდ გაიცმანი“ — იწერება ლავრენტი ჩარხალია.

რედაქციაში არის წერილების დასტა, რომელიც დიდი მატიანეს სტრიქონებად გამოდგება. ყოველი მათგანის უკან დგას კეთილი ნების, მშვიდობისმოყვარე ადამიანი. ეს უბრალო მოგონებები, საბრძოლო ეპიზოდები კი არ არის, არამედ სიფხიზლისაკენ მოწოდების ხმაა, ძლიერი, სულში ჩაწვდომი.

აი სიტყვასიტყვით ერთი უპრეტენზიოდ დაწერილი წერილი, — ... რედაქციამ ეს ასეთი ... ამბავს: „...ჰიტლერელი ფაშისტები დაუნდობლად კლავდნენ ... ...

ჯარისკაცის დიდ გზაზე

მეგრძოლთა წერილები

საზრიანი და მამაცი მეთაური

დღეს დიდი დღესასწაულია — საბჭოთა არმიის დღე, მშვიდობის, ყველა კეთილი ნების ადამიანის ინტერესების მხნე გუშაგის დღესასწაული, არმიისა, რომელმაც დიდი საბრძოლო გზა გაიარა და სამართლიანად დაიმკვიდრა უძლეველის სახელი.

სამხედრო სასწავლებელში, სადაც ჩვენ ახალგაზრდა თაობის აღზრდა გვავალია, სისხლსავსე ჯარისკაცული ცხოვრება ჩქეფს. იზრდება ოფიცერთა სახელოვანი თაობა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს ჩვენს წინაპართა საბრძოლო ტრადიციებს.

ჩვენთან ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმე გამოცდილ და გამოწრთობილ მეთაურთა ხელშია, ეს ის ხალხია, ვინც იბრძოდა მოსკოვთან და კურსკთან, სევასტოპოლთან და ლენინგრადთან, პრაღასთან, ვენასთან, ბერლინთან... ჩვენს სასწავლებელს მამაც ოფიცერთა სამჭედლო შეიძლება ვუწოდოთ. დიდი სამამულო ომის დღეებში ბევრმა აქ აღზრდილმა ახალგაზრდა შშობლიური სასწავლებელი. გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნ. ჯანჯღავამ, პოლკოვნიკმა გ. ნ. კოვტუნოვმა, პოლკოვნიკმა ა. ზ. პირმისაშვილმა, ლეიტენანტმა ს. მ. ოგანოვმა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო სახელი დაიმსახურეს.

ჩვენი სასწავლებლის ყოველი დღე საინტერესოა და შიმზიდველი. აქ ბევრია ისეთი, რომელთა შესახებ მინდა გიამბოთ, მაგრამ პირველ რიგში მინდა დავახასიათო მეთაური, კაპიტანი კომუნისტი კუკური გურგენიძე. ის ნიჭიერი ოფიცერი აღზრდელი და გულისხმიერი მეთაურია, დისციპლინიანი და მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ისე სხვებისადმი.

ამას წინათ ტაქტიკური მეცადინეობის დროს თავი გამოიჩინეს კაპიტან გურგენიძის კურსანტებმა.

მრავალკილომეტრიანი გადასვლა, უამინდობა, „მტერთან" შეხვედრა მებრძოლებმა მხნედ, საზრიანად და გაბედულად ჩაატარეს.

მეცადინეობაში თავი გამოიჩინეს კურსანტებმა მიკიტაძემ, ხარლამოვმა, კორუღევმა, ჩახვახიანმა, კატასანოვმა, ოგნერუზოვმა, სტრუჩალნმა.

კურსანტებმა ნამდვილი სამხედრო წვრთნა მიიღეს. ასეთ დროს ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება თვითეული ჯარისკაცის ხასიათი, ნებისყოფა, სულის სიმტკიცე, კაპიტანი გულდასმით აკვირდებოდა მათ, მის ფხიზელ თვალს არაფერი არ გამოპარვია.

ამ მეტად რთულ ტაქტიკურ მეცადინეობაზე გამოჩნდა კაპიტან გურგენიძის საბრძოლო ცოდნა და მზადყოფნა. განათლებული ოფიცერი პირადი მაგალითით ასწავლის კურსანტებს მამაცობას, შეუპოვრობასა და მოხერხებულობას.

კაპიტან გურგენიძის ყველა კურსანტმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მებრძოლმა, იცის, რომ მას დიდი მისია აკისრია, რომ იგი მშვიდობის ჯარისკაცია.

რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საპატიო!

მეთაური მ. ტომაშევსკი,
თბილისი. საარტილერიო სასწავლებელი.

სანიმუშო მეგრძოლი

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენს სასწავლებელში სწავლობს ნოდარ გიორგის-ძე ხუნჯგურია.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან თავი გამოიჩინა როგორც სწავლით, ისე სამხედრო მომზადებით.

...ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე ოცნებობდა სკოლის ოქროს medlით დამთავრებაზე.

აქ კი ნოდარი ეცნობა პირველხარისხოვან ტექნიკას, რომელიც მას სამშობლომ ანდო, რომ ყოველ წუთს მზად იყოს მკერდით დაიცვას თავისი ქვეყანა და მშვიდობა მთელ დედამიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა მეტად რთულია, ნოდარი კარგად ერკვევა ყოველ დეტალში, ფრიადზე ასრულებს დავალებებს, რისთვისაც დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „საბჭოთა არმიის წარჩინებული".

ნოდარი სიყვარულით ეუფლება სამხედრო საქმეს და დაუზარებლად ეხმარება მეგობრებს რთული ტექნიკის სრულყოფილად ათვისებაში. ასევე ეხმარება ამხანაგებს ფიზიკურ მომზადებაშიც; მას მეორე თანრიგი აქვს ჭიდაობაში, ხოლო შაშში სასწავლებლის ჩემპიონია.

იგი დიდი გულშემატკივარია ფეხბურთისა და მეტად ახარებს თბილისის „დინამოს" წარმატებანი.

როდესაც ნონა იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის მოსაპოვებლად, ნოდარი ორჯერ ჩავიდა ნონას „დასახმარებლად" მოსკოვში (ნონა და ნოდარი ზუგდიდელები არიან).

საბჭოთა არმიის 45-ე წლისთავს ნოდარი ხვდება სანიმუშო წარმატებებით როგორც საბრძოლო, ისე პოლიტიკურ მომზადებაში.

ჩვენ, ლენინის ორდენოსანი საარტილერიო სასწავლებლის აღმზრდელები, მადლობას ვუთვლით ნოდარს მშობლებსა და სკოლის მასწავლებლებს, რომლებმაც სამშობლოს აღუზარდეს ასეთი კარგი მამულიშვილი.

პოლკოვნიკი ი. ა. კრილოვი.
თებერვალი.

წარჩინებული მეთვალყურე

არასოდეს არ დაივიწყებს ზაური იმ დღეს, როდესაც პირველად იარაღით ხელში ცეცლის ხაზზე გავიდა.

— ყოჩაღ! კმაყოფილი ვარ შენით! — შეაქო უფროსმა.

ზაურ მეკავანაძე სამხედრო სამსახურს კიშინიოვის გარნიზონში იხდის. სწავლაში მუყაითი, იგი მონაწილეობს თვითმოქმედების კოლექტივში და ემზადება პარტიის რიგებში შესასვლელად.

თავმდაბალმა და შრომისმოყვარე ზაურმა უფროსებისა და ამხანაგების პატივისცემა დაიმსახურა.

ვ. ლევინი,
№ ნაწილის პარტორგანიზაციის მდივანი.

ლ. როგაჩოვი,
№ ნაწილის მეთაური.

სურათზე: ზ. მეკავანაძე საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს.

სოციალისტური სამშობლოს ძლიერი და საიმედო გუშაგი

(დასასრული)

მოხდა დიდი თვისებრივი წინსვლა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივი გამბედაობითა და დიდი გაქანებით განხორციელდა კვშშარტად რევოლუციური გარდაქმნები ჯარების შეიარაღებაში, ორგანიზაციასა და სამხედრო საქმეში მთლიანად.

საბჭოთა კავშირის უდიდესმა მიღწევებმა მრეწველობის, შეცნიერებისა და ტექნიკის დარგში შესაძლებლობა მოგვცეს არა მარტო შეგვექმნა ახალი სახეობის შეიარაღებული ძალები — სტრატეგიული დანიშნულების რაკეტული ჯარები — ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ძლიერების საფუძველი, არამედ რაკეტულ-ატომური იარაღით, რთული ელექტრონული და სხვა უაღრესი ტექნიკით აღჭურვილი ყველა სახეობის შეიარაღებული ძალები.

საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების მეცადინეობა, რომლებიც სამხედრო წარმოებაში არიან დასაქმებული, ხმარდება ისეთი ნიმუშისა და სახეობათა იარაღის შექმნას, რომელთა საშუალებით შეიძლება სრული გარანტიით უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის უშიშროება. ჩვენმა მეცნიერებმა წამოაყენეს მთელი რიგი მეცნიერულ-ტექნიკური იდეები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ბევრად აამაღლებს შეიარაღების საბრძოლო თვისებებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში გამოიწვევს მის ახალ სახეობათა შექმნას, რომლებსაც ბადალი არ მოებოვება მსოფლიოში. შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობის სახელით მარშალმა მალინოვსკიმ ყველა მათ დიდი მადლობა გადაუხადა ამისათვის.

თავდაცვის მინისტრმა დაახასიათა ჩვენი იარაღის ძალა და თქვა, რომ მარტო ერთ საკონტინენტთაშორისო რაკეტას, რომელსაც ასი მეგატონა სიმძლავრის თერმოატომური მუხტი აქვს, შეუძლია მთლიანად დაანგრიოს ყველა სამხედრო და სამრეწველო ობიექტი რამდენიმე ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე, ხოლო ზონა, სადაც იქნება ამ ზემძლავრი მუხტის აფეთქების შედეგად გამოწვეული რადიაციის საშიში ზონები, შეიძლება გავრცელდეს ასეულ ათასობით კვადრატულ კილომეტრზე. ასეთი რაკეტები და მუხტები კარგად ემსახურებიან იმპერიალისტთა თავდასხმისაგან ჩვენი სამშობლოსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების საიმედო დაცვის საქმეს, ხელს უშლიან მთ მისწრაფებას ატეხონ ახალი მსოფლიო ომი.

უკანასკნელ ხანს სტრატეგიული დანიშნულების რაკეტული ჯარები ჩვენში სულ უფრო მეტად აღიჭურვებიან გლობალური რაკეტებით, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით დაძლიონ რაკეტის საწინააღმდეგო დაცვა და რა ძლიერიც უნდა იყოს ეს დაცვა, ასეთი რაკეტები აუცილებლად მიაღწევენ დასახულ მიზანს და მიიტანეს იქ მომაკვდინებელ ტვირთს.

დიდად გარდაიქმნა ჩვენი სახმელეთო ჯარები. რიცხობრივად უკანასკნელ წლებში ისინი მნიშვნელოვნად შემცირდა, ამავე დროს მათი საბრძოლო შესაძლებლობანი ბევრად გაიზარდა. სახმელეთო ჯარების საბრძოლო ძლიერების საფუძველი გახდა ახლა ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები, რომლებსაც ატომური მუხტებით შეუძლიათ დაანგრიონ „მოწინააღმდეგის ყველა ობიექტი რამდენიმე კილომეტრიდან მრავალ ასეულ კილომეტრამდე სიშორეზე.

სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში მნიშვნელოვნად გადიდდა ტანკების ხვედრითი წონა და გუშმჯობესდა მათი საბრძოლო თვისებები. ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების რიცხვთა და განსაკუთრებით ხარისხით ჩვენი მოტომსროლელთა და სატანკო დივიზიები მნიშვნელოვნად ჭარბობენ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური არმიების შესაბამის დივიზიებს.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვთარდა თვისებრივად სახალხო-სადესანტო ჯარები. ასეთ ჯარებს, რომლებსაც აქვთ კარგი შეიარაღება და დესანტის გადასხმის ისეთი თანამედროვე საშუალებანი, როგორიც არის რეაქტიული ჩქარული დიდტვირთიანი სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრინავები, შეუძლიათ გადაჭრან დიდმნიშვნელოვანი ამოცანები მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში. ჩვენს სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციას შეუძლია პაერით გადაიტანოს ისეთ სახეობათა თანამედროვე ტექნიკა, როგორიც არის რაკეტები, ტანკები, ქვემეხები და ჯავშანტრანსპორტიორები.

უკანასკნელ ათ წელიწადში ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების შეიარაღება და ორგანიზაცია. ახლა ისინი არა მარტო საჰაერო თავდაცვის, არამედ რაკეტის საწინააღმდეგო დაცვის ჯარებიც არიან. ამ სახეობის შეიარაღებულ ძალებს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ აგრესორის ატომური თავდასხმის თანამედროვე საშუალებებისა და იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ჰაერიდან და კოსმოსიდან ჩამოიხედონ ჩვენს ქვეყანაში.

მთლიანად საჰაერო თავდაცვისა და რაკეტის საწინააღმდეგო დაცვის ჯარებს ამჟამად აქვთ ყოველივე საჭირო იმისათვის, რომ ყოველთვის საიმედოდ იცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს ატომური ომისაგან.

უკანასკნელ წლებში სერიოზული ცვლილებანი მოხდა სამხედრო-საჰაერო ძალებში. მოძველებული საბრძოლო თვითმფრინავები ძალიანად შეიცვალა თანამედროვე რეაქტიული მანქანებით, მათ შორის ზებგერითი შორი ბომბდამშენებით. ბომბდამშენი შესცვალა რაკეტმზიდმა თვითმფრინავმა, რომელსაც უნარი შესწევს ფიდი ან სიზუსტით მიაყენოს რაკეტულტომური დარტყმა მოწინააღმდეგეს შორეული დისტანციებიდან, ისე, რომ არ შევიდეს მისი საჰაერო თავდაცვის საშუალებათა მისაწვდომების ზონაში.

დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტში, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ძირითადად წყალქვეშა ფლოტი გახდა. სხვადასხვა კლასის წყალქვეშა ნავები ახლა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების მთავარი გვარეობაა. ამასთან მის საფუძველს შეადგენენ ატომურ ძრავიანი წყალქვეშა ნავები, შეიარაღებული რაკეტებითა და ტორპედებით, რომლებსაც ატომური მუხტები აქვთ.

წყალქვეშა ნავებთან ერთად ჩვენს ფლოტში შეტად დიდმნიშვნელოვანი გვარეობის ძალა გახდა საზღვაო რაკეტმზიდი და ნაღაფრინაღმდეგო ავიაცია. მას უნარი შეაწევს ზღვაში მოძებნოს და მოსპოს მოწინააღმდეგის როგორც წყალზედა ხომალდები, ისე წყალქვეშა ნავები.

მთლიანად ჩვენი შეიარაღებული ძალები ამჟამად აღჭურვილი არიან ყველაზე თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით და შეიარაღებით.

შემდეგ მარშალმა მალინოვსკიმ თქვა, რომ საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერება. ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ მათ ბრძოლისუნარიანობა და საბრძოლო მზადყოფნა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, ხაზს უსვამს იგი, მიზნად ისახავს, რომ გამორიცხოს თერმოატომური კატასტროფის შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირი კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებს მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაკვმდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის. ამასთანავე ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, სანამ იმპერიალისტური სახელმწიფოები არ თანხმდებიან განიარაღებაზე, არსებობს საფრთხეც, რომ ისინი აგრესიულ ომებს ატეხენ. ახლა საჭიროა, რომ ჩვენ, უფრო მეტად, ვიღრე ოდესმე, გამოვიჩინოთ განსაკუთრებით დიდი სიფხიზლე.

თავიანთ სახელოვან იუბილეს დღეს, ამბობს მოხსენების დასასრულს ამხ. მალინოვსკი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები ერთხელ კიდევ არწმუნებენ ცენტრალურ კომიტეტს, რომ შეიარაღებული ძალები, როგორც სამშობლოს ერთგული გუშაგი, ფხიზლად დგანან თავიანთ საბრძოლო პოსტზე და ყოველთვის მზად არიან შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი ბრძანება. საბჭოთა ხალხს შეუძლია მშვიდად და რწმენით აშენოს კომუნისტური საზოგადოების ნათელი შენობა.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი უურადღებით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. ნ. ტიტოვმა** წაიკითხა.

მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციის სახელით სხდომის მონაწილეებს მიესალმა პირველი სახელმწიფო საკისართა ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ს. ს. მინაევი.** იგი ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანები ამაყობენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შეიარაღებული ძალებით, რომლებიც შექმნეს და აღზარდეს მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა, და რომლებიც ფხიზლად დგანან ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა მეურნეობა „ზვენიგოროდსკის" მანქანური წველის ოსტატს **ლ. ა. სისოევას.** მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დელეგაციის სახელით მან გულითადად მიულოცა სახელოვან მერაკეტეებსა და არტილერისტებს, ქვეთესლა და ტანკისტებს, მფრინავებსა და მეზღვაურებს — ყველა გვარეობის ჯარების მეომრებს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 45-ე წლისთვეი.

დედაქალაქის ახალგაზრდობის დელეგაციის სახელით გამოვიდა სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პასტუხოვი.**

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.**

ბეტანკურმა დაამთავრა მოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 21 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი **გ. დერევენსკოვი** იუწყება, გუშინ აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის და ვენესუელის პრეზიდენტის ბეტანკურის მოლაპარაკება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა.

როგორია ამ მოლაპარაკების შედეგები? პრეზიდენტმა კენედიმ საჯაროდ დადო პირობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველმხრივ დახმარებას. გაუწევენ ვენესუელის მთავრობას კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღნიშნულია ორი პრეზიდენტის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრეზიდენტებმა განიხილეს ავრეთვე მდგომარეობა, რომელიც ვითომდა შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ კუბა „საფრთხეს უქმნის ამერიკის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას". მაგრამ კომუნიკეში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებების განხორციელებას აპირებენ კენედი და ბეტანკური კუბის მიმართ ამ საკითხის „განხილვის" შედეგად.

კომუნიკეში მხოლოდ აღნიშნულია, რომ „ორივე მთავრობა იმედოვნებს, რომ ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია გამოიყენებს ყველა საშუალებას, რათა უზრუნველყოს ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების არსებული წყობილების შენარჩუნება".

ის, რასაც ღიმილით აუარეს გვერდი კომუნიკეში, ბეტანკურმა გამოთქვა პრესის ეროვნულ კლუბში გამოსვლის დროს. მან წამოაყენა წინადადება განგრძონ კუბის ეკონომიური ბლოკადა, აკრძალონ კომუნისტური პარტიების საქმიანობა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში. წაახალისონ „წინააღმდეგობა", ესე იგი კონტრრევოლუციური საქმიანობა კუბის შიგნით.

კუბის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერისთვის ბეტანკურმა, როგორც ჩანს, ძიაღწია იმას, რომ კენედი დათმობაზე წავიდა ვენესუელის ეკონომიკის ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის შეერთებული შტატების მიერ ვენესუელის ნავთობის იმპორტი (როგორც

პარიზი, 21 თებერვალი. (საკდესი). მშვიდობის მოძრაგებმა, ყველა ფრანგმა ხელიდან უნდა გამოგლიჯონ ატომური ბომბი ავანტიურისტებს, განაცხადა პრეს-კონფერენციაზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიბიუროს წევრმა რაიმონ გიუიომ. პრეს-კონფერენცია, რომელიც მოაწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ, მიეძღვნა საკითხს, რომელიც მთელ საფრანგეთს აღელვებს: „დამკვრელი ძალები თუ ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება?".

ხელიდან გამოვგლიჯოთ ბომბი ავანტიურისტებს

საფრთხე ის არის, თქვა გიუიომ, რომ ავანტიურისტთა ხელში მცირე სიმძლავრის ბომბიც კი შეიძლება აღმოჩნდეს დეტონატორი, რომელიც გამოიწვევს მსოფლიო თერმოატომური ომის აფეთქებას.

გიუიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას მილიტარისტული ხასიათი აქვს, და თქვა: დეგოლის დამკვრელი ძალები გახდებიან ბონ-პარიზის ღერძის დამკვრელი ძალები, თუ ისინი ხელში ჩაუვარდება ნაცისტ გენერლებსა და გერმანიის მონოპოლიებს.

გიუიომ აღნიშნა, ყბადაღებული ატომური ძალები ეროვნული პოლიტიკის იარაღი არ არისო და განაცხადა, საფრანგეთმა უარი უნდა თქვას გამალებულ შეიარაღებაზე. უნდა ვიარით არა ამ გზით, თქვა მან, არამედ საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლის გზით.

ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ ატომური იარაღის გამოცდას

ვაშინგტონი, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ შეერთებულმა შტატებმა ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე განახორციელეს ორი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. ეს გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ.

საბჭოთა ჟურნალისტები ჯაკარტაში

ჯაკარტა, 21 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ თვითმფრინავით ჩამოვიდა საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი ა. ა. სატიუკოვი. საბჭოთა ჟურნალისტები მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომებში, რომლებიც დაიწყება ხვალ.

ამავე თვითმფრინავით პრეზიდიუმის სხდომებზე ჩამოვიდნენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ი. მაისნერი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მდივანი ა. ე. ეფრემოვი და გაზეთ „ტრიბუნა ლუდუს" მთავარი რედაქტორი ლეონ კასმანი.

უმუშევრობა

ლონდონი, 21 თებერვალი. (საკდესი). მომდინარე წლის 11 თებერვალს დიდ ბრიტანეთში აღრიცხულია 878.356 უმუშევარი, ეს 63.257 კაცით მეტია, ვიდრე იანვარში იყო. ამჟამად ინგლისის მშრომელთა 3,9 პროცენტი უმუშევარი აღმოჩნდა.

ამ ცხობებში შეტანილი არ არის ჩრდილოეთ ირლანდიის უმუშევართა რიცხვი, სადაც უმუშევარი 54.583 კაცია, ანუ თვითმოქმედი მოსახლეობის 11,2 პროცენტი.

ლეიბორისტული პარტიის სპპარლამენტო ფრაქციები

ლონდონი, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ გამოაცხადეს, რომ პოსტების ახალი განაწილება მოხდა ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელობაში (ეგრეთწოდებულ „სათადარიგო კაბინეტში"). პარტიის ლიდერის მოადგილეს ჯორჯ ბრაუნს დაევალა საშინაო პოლიტიკის საკითხთა კოორდინაცია. ფიქრობენ აგრეთვე, რომ იგი შეცვლის პარტიის ახლანდელ ლიდერს ჰაროლდ ვილსონს ლეიბორისტული პარტიის საშინაო-პოლიტიკური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. „სათადარიგო კაბინეტის" საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია პატრიკ გორდონ-უოკერი, თავდაცვის მინისტრად — დენის ჰილი.

საერთაშორისო ფეხბურთი ცხოვრება

აგრესიის ფორპოსტები

დახედეთ ამ რუკას. მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე დასობილია ამერიკის შეერთებული შტატების დროშები ინგლისური წარწერით. ეს თავისებური პირობითი ნიშნებია იმ ქვეყნების აღნიშვნით, სადაც განლაგებულია პენტაგონს დაქვემდებარებული ამერიკის სამხედრო ბაზები.

ეს რუკა გამოაქვეყნა ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უოროლდ რიპორტმა". ჟურნალის ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი მიძღვნილია მომდინარე წლის პროგნოზებისადმი. იგი ეხება ზოგიერთ ეკონომიურ ცვლილებებს ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში. მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ერთი რამ, რაც უცვლელი რჩება და ასევე უცვლელად ეშუქრება მშვიდობას, ეს არის სამხედრო ბაზები, ატომური სტრატეგია, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები.

ლათინურ ამერიკაში თუ ევროპაში, აფრიკაში თუ აზიაში ამერიკის იმპერიალიზმი ხიშტებით იცავს თავის სამხედრო ბაზებს, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია სსრ კავშირისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების 2.000-ზე მეტი სამხედრო ბაზა. ერთი მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი დაბობტებს მსოფლიოს 41 ქვეყანაში. აქედან მარტო ევროპაში იმყოფება ოთხასორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი, შორეულ აღმოსავლეთში კი — ორასი ათასი. ამერიკის სამხედრო გემებსა და წყალქვეშა ნავებზე წყნარ ოკეანესა და ატლანტის ოკეანეში სათმარ მზადყოფნაშია სამასი ათასი მეზღვაური. კიდევ ასი ათასი ჯარისკაცი იმყოფება ლათინურ ამერიკასა და ჩვენი პლანეტის სხვა რაიონებში არტკიკიდან ტროპიკებამდე.

ამ გიგანტურ სამხედრო არსენალს დაუმატეთ რაკეტები, ათასობით თვითმფრინავი, 500-მდე უზარმაზარი სამხედრო გემი, და თვალწინ წარმოგიდგებათ იმ ქვეყნის სურათი, რომელიც თავის თავს „თავისუფალი სამყაროს" მეთაურს უწოდებს.

უოლ-სტრიტის მაგნატები პენტაგონის დაკვეთით სრული დატვირთვით აშუშავებენ სიკვდილის საწარმოებს. განიარაღების ნაცვლად წარმოებს გაუგონარი მილიტარიზაცია. აგრესიული ძალები ომის ზღრუბლზე ბალანსირებას ეწევიან და ყოველნაირად ცდილობენ ცივი ომის გადაზარდონ აშკარა ომად.

მაგრამ ამაოა მათი ვარაუდი. მშვიდობის ძალები აუარაცხელია. მშვიდობის გუშაგად დგანან საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებსაც ყველა საშუალება აქვთ იმისათვის, რომ დედამიწის ყოველ წერტილში აღგავონ აგრესიის კერები.



უარლვევი ერთობის ნიშნით

საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე

22 თებერვალს თბილისის მანქანათაშენებელი ტექნიკუმის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისს ჩელუსკინელთა № 18 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები, აქ დიდი აღმავლობისა და მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში გაიმართა საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა მ. ჯიბუტამ.

სიტყვა ეძლევა კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა წარმომადგენელს ხ. ტყემალაძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, — ამბობს იგი, — დიდი პოლიტიკური კამპანიაა. იგი მიმდინარეობს იმ დიდი ამოცანების შესრულებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული ბრძოლის ნიშნით, რომლებიც დასახეს პარტიის XXII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა. ქარხნის მშრომელებმა, რომლებიც არჩევნების აღსანიშნავ ვახტზე დგანან, გეგმის გადამეტებით ასობით მანქანა გამოუშვეს სახალხო მეურნეობისათვის.

— ეროვნულოვნად დაასაბაწარმოს კოლექტივმა, — ამბობს შემდეგ ორატორი. — ერთსულოვნად დაასაბელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ჩელუსკინელთა № 18 საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ ი ვ ი დ ი მ ი ტ რ ი ს-ძ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.** იგი თათბირის მონაწილეებს მოუწოდებს მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურას.

შემდეგ გამოვიდნენ თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის ინჟინერი პ. დავიდჩიკი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილების თავარი რედაქტორი მ. მგალობლიშვილი, № 2 ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორი დ. სურგულაძე, 26 კომისრის სახელობის საარტილერიო სასწავლებლის პარტიული კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი პ. მარშენკო. მათ ამხანაგი ჯავახიშვილი დაახასიათეს, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი და მოუწოდეს თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ მის კანდიდატურას.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთხმად გადაწყვიტა სთხოვოს გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს დათანხმდეს და კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ჩელუსკინელთა № 18 საარჩევნო ოლქში.

თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები და მიიღო მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ აღნიშნონ არჩევნები ახალი შრომითი წარმატებებით. (საკდესი).

ჯარისკაცის ფიბლიოთეკა

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

სუნა კორადი—ვიოლეტა

თურქეთის ვოკალურ ხელოვნებას თბილისელები იცნობენ ანკარის ეროვნული ოპერის ცნობილი მომღერლის სევდა აიდანის გამოსვლებით ჩვენს საოპერო თეატრში. სუნა კორადი, რომელიც ამჟამად გამოდის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, აგრეთვე წამყვანი სოლისტია ანკარის საოპერო თეატრისა.

მშვენიერმა ხმამ (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო) და განსახიერებულ გმირის შინაგან სამყაროში ღრმად ჩაწვდომის ჭვანსაკუთრებულმა უნარმა, სუნა კორადს დიდი პოპულარობა მოუპოვა არა მარტო სამშობლო ქვეყანაში, არამედ ევროპის ბევრ ქალაქშიც. წარმატება ხვდა მის გამოსვლებს ბულგარეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში და სხვ.

თავისი არცთუ დიდი შემოქმედებითი გზის მანძილზე (მომღერალი დაბადებულია 1935 წელს) სუნა კორადმა ქალთა საოპერო სახეების მთელი გალერეია შექმნა, მათ შორის მანონი, ვიოლეტა, ლეილა, ლუჩია, მარგარიტა, როზინა და სხვ.

თბილისელებმა სუნა კორადს მისი რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო პარტიაში (ვიოლეტა, ვერდის ოპერა „ტრავიატა") მოუსმინეს. თურქი მომღერლის ამ როლში დამოსვლამ ჩვენი ქალაქის თეატრალურ და მუსიკალურ წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. სრული დიაპაზონის, ნათელი ტემბრის, ყველა რეგისტრში თანაბრად ძლიერ მშვენიერ ხმას მსახიობი თავისუფლად უმორჩილებს საკუთარ ნებას და შემოქმედებით ჩანაფიქრს. პირველი მოქმედების ფინალური სცენის ბრწყინვალე შესრულებით სუნა კორადმა გვიჩვენა კარგად განვითარებული და დამუშავებული კოლორატურული ტექნიკა.

მსახიობი უადრესად თბილად და გულწრფელად გადმოგვცემს ვიოლეტას სულიერ განცდებსა და ტკივილებს. „მიტოლ-

მაც ალწევს იგი დიდ გამომსახველობას ჟერმონთან ცნობილ სცენაში და ალფრედთან გამომშვიდობებისას.

ნათელ რეალისტურ ტონებში, ღრმა შთაგონებით ჩაატარა მომღერალმა მთელი მეოთხე მოქმედება, რომელიც სავსეა ტრაგიკული სულისკვეთებით. მშვენივრად რომ არის დაუფლებული ხმის ყოველ ნიუანსს, სუნა კორადი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე ალფრედთან დუეტში და სიკვდილის სცენაში. ვიოლეტას საოპერო სახის ინტერპრეტაციისას მსახიობი ხაზს უსვამს, რომ ვიოლეტა სოციალური უთანასწორობისა და ბნელი გადმონაშთების უბედურ მსხვერპლს წარმოადგენს.

სუნა კორადს სასიამოვნო პარტნიორობა გაუწია ერევნის კონსერვატორიის ასპირანტმა, ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტმა ვაჰან მირაქიანმა, რომელმაც ალფრედის პარტია შეასრულა, სამეი მომღერლის რბილი ტემბრის ლირიკულმა ტენორმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საუკეთესო სცენური და ვოკალური მონაცემების მქონე ახალგაზრდა სომეხი მომღერალი მალე გიემგზავრება იტალიაში თავისი ვოკალური ხელოვნების სრულყოფის მიზნით.

დასასრულ, მინდა ქებით მოვიხსენიო ჩვენი საოპერო თეატრის ორკესტრი, რომელსაც მაღალოსტატურად მართავდა დირიჟორი გიგი აზმაიფარაშვილი.

ლეილა გოცირიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

* * *

სურათზე: სუნა კორადი — ვიოლეტა (ჯ. ვერდის „ტრავიატა").

მოკლედ

◆ ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ გაიმართა თემატური საღამო ლიტერატურის საკითხებზე. საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს დოცენტმა დ. ქორიძემ — თანამედროვე ქართული მწერლობა, პოეტმა ა. თევზაძემ — პოეზია და ხალხი. საღამოს დასასრულს საკუთარი ლექსები წაიკითხეს ა. თევზაძემ და დამწყებმა პოეტმა ე. ჯიშკარიანმა.

◆ სიღნაღი. (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში ალაზნის ველზე სუბტროპიკული კულტურების გაშრავლებას მიაყვეს ხელი. ალაზნის საცდელ-სამელიორაციო სადგურნა ახლახან ბათუმის სანერგე მეურნეობიდან 3.200 ძირი ზეთისხილის ნერგი მიიღო. მათ სპეციალურ ნაკვეთებში რგავენ.

◆ „სალოფლენერგოს" ბათუმის სამშენებლო კანტორის მუშაკებმა გასულ წელს დაიწყეს სოფელ დიდი ვანის ელექტროფიცირება. ნაყოფიერი შრომითა და კოლმეურნეობის დახმარებით ამ დღეებში მათ მუშაობა დაამთავრეს, სურების მთიანი ზონის სოფელ დიდ ვანში პირველად აინთო ელექტრონათურები.

ბ. რამიშვილი.

◆ ზნაურის რაიონის სოფელ ერედვის საშუალო სკოლის შენობას ცეცხლი ეკიდებოდა. ეს შენიშნეს მეხუთე კლასის მოსწავლეებმა მზია მაისურაძემ, სერგო ვახტანგაშვილმა, რომლებსაც დაეხმარნენ მეექვსე კლასის მოსწავლეები ბონდო ბერუაშვილი, თეიმურაზ ბერუაშვილი, და ხანძარი სწრაფად იქნა ლიკვიდირებული.

ს. ცოტნიაშვილი.

ნოველა • ცნობები • ფაქტები • სპორტის ამბები

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

პირველი ტურის სიმწვავე

პირველ პარტიას მოკადრაკე ყოველთვის დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ატარებს. ამიტომ სტარტზე ძნელი გაასარჩევია მომავალი ჩემპიონი იმ მონაწილისაგან, რომელსაც ბოლო ადგილი „უწერია". სწორედ ამიტომ გუშინ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში ყველა შეხვედრა დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა და მათი უმეტესობის ბედი მძაფრ ციტნოტში გადაწყდა.

ნონა გაფრინდაშვილი შავებით შეხვდა ჭაბუკ მოკადრაკეთა შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულ ოსტატობის კანდიდატ რ. ჯინჯიხაშვილს. ამ პარტიას მთელი სალამის მანძილზე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მრავალრიცხოვანი მაყურებელი. შეხვედრის პირველი ნაწილი მსოფლიოს ჩემპიონმა საუცხოოდ ჩაატარა და მოსაგები პოზიცია მიიღო. როდესაც შეტევის დაგვირგვინებას ერთი ხვლა აკლდა, ნონა მოულოდნელად შეცდა და ახლა თვით ალმოჩნდა კრიტიკულ მდგომარეობაში. აქ გამოვლინდა „ჭადრაკის დედოფლის" ჩინებული პარტიული ღირსებები, იგი „წარბშეუხრელად" იბრძოდა კონტრთამაშის შესაქმნელად. პარტიის დასკვნითი ნაწილი ჯინჯიხაშვილმა უფერულად ჩაატარა და დაკარგა უპირატესობა. შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ნონას პაიკი აკლია, მაგრამ ამ მცირე მატერიალურ დანაკლისს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გაფრინდაშვილის გამხელელმა პაიკმა მეორე ჰორიზონტალს მიაღწია, რამაც პარტიის ბედი მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს.

ოსტატი ა. ბუსლაევი თეორიის საუცხოო მცოდნედ ითვლება. ამიტომ საქართველოს ჩემპიონმა ბ. გურგენიძემ შეგნებულად აირჩია ნაკლებად ცნობილი გაგრძელება. დიდხანს პოზიციური უპირატესობა თეორიების მხარეზე იყო, მაგრამ მძაფრ ორმხრივ ციტნოტში გურგენიძემ ჯერობ მეტოქეს — მარტივი ტაქტიკური დარტყმით მოიგო ხარისხი, ხოლო შემდეგ მატერიალური უპირატესობა მოგებამდე მიიყვანა.

თ. ლომაიამ და მ. თხელიძემ, ეტყობა, გადაწყვიტეს ტურნირი დღეიდან დაიწყონ. მათი გუშინდელი შეხვედრა თითქმის უბრძოლველად ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ოსტატ მ. შიშოვის შეხვედრა გ. ჭანტურიასთან (ბათუმი). ოსტატმა ა. ბლაგიძემ სძლია თ. გიორგაძეს (ქუთაისი), გ. კალატოზიშვილმა — ა. კირვალიძეს.

ი. ჩიქოვან-ე. მიქაელიანის, ჭ. არნუტეინ-ჯ. ბერაძის (წყალტუბო) და ი. ვეტოხინ-ა. იზვოზჩიკოვის გადადებულ პარტიებში უპირატესობა ჩიქოვანის, არნუტეინისა და იზვოზჩიკოვის მხარეზეა. თ. კიკიან-დ. ჯანოევის შეხვედრა გადაიდო რთულ პოზიციაში ორმხრივი შანსებით.

დღეს გაიმართება მეორე ტური.

გ. გამრეკელი.

ქომუნისტი
Комунисти
ИНДЕКС 66443

თეთრ ჭილიანზე

ბაკურიანის კოხტაგორის თოვლით დაფარულ ფერდობებზე მოთხილამურეთა ასპარეზობა არ ცხრება. ეს არის „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში.

გუშინ სწრაფდაშვებაში ერთმანეთს პირველობას იცილებდნენ ქალები. ყველაზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა მოსკოველ ე. კაბინას და ჩემპიონობაც მას ხვდა.

კვლავ გამარჯვება იაპონიაში

საბჭოთა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, ავრეთვე საბჭისტები და ძიუ-დოისტები განაგრძობენ ტურნეს იაპონიაში.

გუშინ ჭ. კობეში ჩვენი მოჭიდავეები შეხვდნენ იაპონიის ნაკრებს. ამჯერად მასპინძელთა ბრძოლას მეტი სიძლიერე ახასიათებდა, მაგრამ წარმატების მოპოვება მათ ვერ შეძლეს. **გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა ანგარიშით 4,5:3,5.**

ჩვენი გუნდიდან წარმატებას მიაღწიეს — **სალარაძემ, ალბულმა, ალანოვმა, შედვეშმა. მჭედლიშვილმა** მეტოქესთან ბრძოლა ფრედ დაამთავრა.

საბჭოთა მოჭიდავეებმა მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე საჩვენებელ გამოსვლებში ჭიდაობა სამბოსა და ძიუ-დოში.

ლიდია სკოგლიკოვას ტრიუმფი

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ორი დღე იაპონიის ქ. კარუიზავაში საბჭოთა მოციგურავეების ტრიუმფით აღინიშნა. მათ განაცვიფრეს არა მარტო მაყურებლები, არამედ შეჯიბრების მონაწილე მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ლიდია სკობლიკოვას სტარტზე, რომელმაც პირველ დღეს ორივე დისტანციაზე მაღალი შედეგი აჩვენა და პირველი ადგილები დაიკავა. მრავალქიდში გამარჯვებისა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1.000 და 3.000 მეტრზე ციგურაობას, რომელიც გუშინ შედგა.

1.000 მეტრზე ლიდია სკობლიკოვას ბადალი არ ჰყავდა. მან მანძილი გაიარა 1 წუთში და 31.8 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. არც 3.000 მეტრზე დაუთმია პირველობა სკობლიკოვას. იგი ამ რთულ დისტანციაზეც გამარჯვებული გამოვიდა.

ოთხ დისტანციაზე ოთხი პირველი ადგილი, ეს მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში იშვიათი მოვლენაა. ლიდია სკობლიკოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის დაფნის გვირგვინით შეამკეს.

მეორე ადგილზე გამოვიდა ჯორონინა. იგი მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, რომელმაც 190,817 ქულა შეაგროვა, 4 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი დაიკავა სტენინამ, მეოთხე — ეგოროვამ, მეხუთე — კოლჩინამ.

დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან მოციგურავე ვაკები.

ქ. ი. ალიბეგაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი, სკკპ წევრი 1939 წლიდან კონსტანტინე ივანეს-ძე ალიბეგაშვილი. იგი დაიბადა 1909 წელს ყოფ. ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერში. 1929 წელს დამთავრა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რის შემდეგ მუშაობდა ელექტროტექნიკოსად ამიერკავკასიის რკინიგზაზე და სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებლად დონბასში, ამასთან დაუწერებლად სწავლობდა ხარკოვის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში.

1933 წლიდან 1941 წლამდე კ. ი. ალიბეგაშვილი მუშაობდა სიქსოფლელექტროს სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის დირექტორად. დიდი სამამულო ომის დროს კ. ი. ალიბეგაშვილს ეჭირა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობანი მოძრედ არმიაში. იყო პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწე და დივიზიის კადრების განყოფილების გამგე.

დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წლიდან 1953 წლამდე კ. ი. ალიბეგაშვილი ხელმძღვანელობდა ტირიფონაქესის მშენებლობას და ამავე დროს იყო საქსოფლელექტროს გორის სარაიონთაშორისო კანტორის დირექტორი.

კ. ი. ალიბეგაშვილი 1953 წელს გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. მინისტრთა საბჭოს აპარატში მუშაობისას კ. ი. ალიბეგაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა სპეციალისტმა, რომელიც დაუღალავად შრომობდა რესპუბლიკის სოფლის ელექტროფიკაციისა და წყალთა მეურნეობის განვითარებისათვის.

კ. ი. ალიბეგაშვილი იყო უაღრესად გულისხმიერი, თავმდაბალი ადამიანი, შესანიშნავი კომუნისტი სპეციალისტი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

უცხოური კურიოზები

არც ერთი, არც მეორე

ამას წინათ დამთავრებულ მსოფლიო პირველობაზე ბიატლონში (სათხილამურო გადარბენა სროლით) დასავლეთ გერმანიის გუნდმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბუნდესვერის ჯარისკაცებისაგან, ბოლოდან პირველი ადგილი დაიკავა. დასავლეთგერმანელმა ტურისტმა, რომელიც ამ ასპარეზობას ესწრებოდა, — წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმმე", თქვა: „მე რომ გამეგონა, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა არ იციან სროლა, არ გამიკვირდებოდა. ამ ნაკლის კომპენსაცია შეიძლებოდა მოწინააღმდეგისაგან სწრაფად გაქცევის ხარჯზე. მაგრამ ამასთან ერთად ისინი ცუდი მორბენლებიც არიან... ჩვენს მეომარ გენერლებს დასაფიქრებელი აქვთ".

პროფესია გამოიცვალა

შოტლანდიელ პროფესიონალ ფეხბურთელს იანგს დიდ უსიამოვნებას აყენებდა ბუტცების პრობლემა. საქმის არის, რომ იგი 48 ზომის ფეხსაცმელს ატარებს. რომლის შეძენა არცისე იოლია. იანგს დიდხანს არ უყოყმანია ახალი პროფესიის არჩევაში. მან გადაწყვიტა გამხდარიყო მეჩექმე, რომლის სპეციალობა ჩვეულებრივზე დიდი ზომის ფეხსაცმლის შეკერვა იქნებოდა.

(სააგენტო „ახალი ამბები")

ქამი მყინვართა დნობისა

მარუხის უღელტეხილზე ოცი წლის წინათ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლები წარმოუგდა ბერძანელ ფაშისტებთან. აქ ყოფილიყო ბედი ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთისა, რომელთა დაპყრობა განზრახული ჰქონდა ჰიტლერს.

ოცი წლის შემდეგ მყინვარები დადნა და სამამულო ომის ისტორიაში ახალი თავფურცელი ჩაწერა მარუხის უღელტეხილზე ნაომენმა ახალმა დოკუმენტებმა ჩვენი მრავალეროვანი საბოგანლოს ფვილთა უმაგალითო ბრძოლის შესახებ.

მარუხის უღელტეხილის ტრაგედიაზე მოგვითხრობს ვლ. ალფენიძის დოკუმენტური ნოველა „ქამი მყინვართა დნობისა", რომელსაც დღეს ვბეჭდავთ.

□ □

მთის ფერდობზე ორბის ბუდესავით მოჩანს მწყემსთა ფარეხი. აქ ცა ისე ახლოსაა, კომბლოთ მისწვდები. ღამით ხევებში დევები ახველებენ, განთიადისას ხეობებს ოზშივარი ასდით.

— ეს დევები ხარშავენ ხაშს ირმის ჩლიქებისაგან, — იტყვის ხოლმე მცნობარი პაპა.

ნისლი თეთრია, როგორც ფარეხიდან გამოსული ქალწულის მანდილი.

ცხრაწყაროს იქით სიბერისაგან დანაოჭებული თოვლიანი მწვერვალებია. საოცარია მარუხის თოვლი, აისის ჟამს ის ცისფერია, შუადღეზე — თეთრი, მწუხრისჟამს კი — მეწამული...

ქალიშვილმა კაბის კალთები ოდნავ აიწია, შიშველი ფეხები მდინარეში ჩაყო. გაიჟრჟოლა; ეამა. ნისლი ფარავდა მარუხის უღელტეხილს, სქელი თეთრი ნისლი. ცნობისმოყვარე თვალისაგან დაცული იყო: მწყემსებმა ღილით შორს გარეკეს ფარა და საღამომდე არ დაბრუნდებოდნენ. შიშველ ქალიშვილს ირმები თუ დაინახავდნენ ან ჯიხვები, ისიც არწივის საფრენი სიმაღლიდან. ქალიშვილმა ტანთ გაიხადა და გიემეჟ მდინარეში ათრთოლდა თეთრი სხეული.

ვინ იცის რას ნატრობს ქალწულის გული, როცა მთებში დგას ქამი მყინვართა დნობისა და სხეულში მთის მდინარესავით ხმაურობს სიყვარულის ასაკი.

როცა სხეული ივსება მთის ჰაერით, ხეობათა სიცივით, თოვლის სითეთრით და მთის ყვავილების სუნთქვით, როცა მღვიმეთა შორის მეფობს რაღაც იდუმალება, პირველყოფილი, ჩუმი და მიმზიდველი, როცა პირველქმნილი უმანკოებით სავსე მარუხის თოვლში გეგულება თეთრი ყვავილი, სიყვარულის ყვავილი. და გესმიზმრება ჭაბუკი მთრთოლვარე ბაგეთი და თეთრი ყვავილით ხელში. მაშინ ყველაფერი გიყვარს: ხავსიანი ლოდებიც, კლდიდან გადმონაღები ჩანჩქერებიც, ირმის ნაფეხურებიც, მწყემსთა ფარეხიც, ლეგა ღრუბლებიც; ყველაფერი, რასაც თვალი ხედავს.

მდინარეს მოჰქონდა თეთრი ყვავილი, მარუხის თოვლზე უთეთრესი და უწმინდესი. ქალიშვილმა გრძელი და მოქნილი თითებით დაიჭირა, ბაგე დაალოკნა. თმაში ჩაიწნა და სარკესავით ჩაიხედა ლურჯი თვალებით მთის ანკარა წყაროში. ნატამ ცხადად დაინახა: გამქვირვალე ჩქერებში მის ტანს შეეხო რაღაც უცნაური სხეული, ჩონჩხის მსგავსი.

ქალიშვილმა შეჰკივლა და კალმახივით აღგაფეფხდა წყალში. ხეობამ ხეობას გადასცა კივილი და ერთბაშად მთელმა ხეება დაინახა აცახცახებული ქალიშვილი, შიშით რომ იხედებოდა ჩქერებში. ტალღებს კი მიჰქონდათ ხავსიან ლოდებზე ადამიანის თავის ქალა. სწორედ ისეთი, როგორიც ინსტიტუტის ლაბორატორიაში შემოჰქონდა პროფესორის გამხდარ ასისტენტს ლექციის დაწყების წინ.

ხმაურობდა მდინარე, მაგრამ თითქოს უკვე ხეობაში კი არა, ქალიშვილის ძარღვებში. ეს ხმაური იყო რაღაც უცნაური, მრისხანე და მწუხარე. თითქოს ხავსიანი მწვანე ლოდები ხმაურობდნენ, სფინქსებივით ცას შეჰკენილი კლდეები ყელში წაჭერილი ლოშებივით ბუნუნებდნენ, კისერს იტეხდნენ ჩანჩქერები. მარუხის თოვლი განთიადისას წითელი გახდა.

ქალიშვილის თვალებში ფერთა ქოსი იროდა, როგორც აბსტრაქტულ ტილოზე, ქალიშვილის ყურებში ხმაურობდა კლდეთა სიმღერა — მწუხარე რეკვიემი. თითქოს ვენები გაეხსნეს ქალიშვილს და მდინარეს შეუერთეს. შველივით აკანკალებული ნატა ტანს იმოსავდა ჩითის კაბით.

უცვე საშინელმა აზრმა გაუელვა ქალიშვილს.

— იქნებ დადგა ქამი მარუხის მყინვართა დიდი დნობისა... იქნებ ეს მამაა!...

ნატა აქაფებულ მდინარეში გადაეშვა.

ჩქარი დინება ფეხზე არ აყენებდა ქალიშვილს. არა, ეს არ იყო უკვე ნახი ქალიშვილი, წუთის წინ მდინარეში რომ ბანაობდა. ეს იყო ძუ ვეფხვი; რომანტიკა ნაპირზე დარჩა, მდინარეში მიცურავდა ექიმი ქალიშვილი, რომელსაც ქირურგის დანით არაერთი გვამი გაუფატრავს; არაერთი თავის ქალა ასოსო დაუშლია. და ბოლოს ეს იყო შვილი, რომელსაც თავისი გაჩენის დღიდან დაკარგული მამის უკანასკნელ ნეშტს ართმევდა მდინარე.

ოცი წელი ელოდა ქალიშვილი მარუხის თოვლში ჩაფლულ მამის დაბრუნებას.

დედა სხვას გაჰყვა, ლოდინმა დაღალა.

მამა არ ჩანდა.

— ჩანს, არ დამდგარა ქამი მყინვართა დიდი დნობისა, — თავს იმშვიდებდა პაპა.

ვაპა ტიმოთე ყოველ ზაფხულს აქეთ მოერეკებოდა კოლმეურნეობის ცხვარს. იმედი ჰქონდა: იქნებ ერთხელაც დადგეს ქამი მარუხის მყინვართა დიდი დნობისა, აქ დავნდგები გამდნარ მყინვარებს, იქნებ მდინარეს ღვიძლი შვილის ჩონჩხი მაინც წავართვაო, იხტიბარს არ იტეხდა მოხუცი.

...ტანზე ეკვროდა ქალიშვილს ვიწრო სველი კაბა. მანდილი წაართვა მდინარემ, მაინც მისდევდა მამის ნეშტს. მორევთან უწია. ხელი შეახო თავის ქალას და ისევ გააჟრჟოლა... ეს სიკვდილთან შეხვედრას უფრო ჰგავდა, ვიდრე მამასთან... ცივი და ერუანტელის მომგვრელი იყო თავის ქალა...

შორს იყო ფარეხიდან. ნუთუ გზას ვერ გაიგნებს. არა, ეს შეუძლებელია, მთებს კარგად იცნობს.

თვალწინ ახოვანი ვაჟკაცი წარმოუდგა. ეს მამის ჩვენება იყო.

მდინარეს მიჰქონდა თავის ქალა...

ეს არ იყო ნაშთი მამამისისა. ეს იყო ოდესღაც ლამაზი ჭაბუკის თავი, ჭაბუკისა, რომელსაც სიცოცხლეში არ რგებია ქალწულის გულმკერდის სითბო.

ეჰ, მთებს რომ შეეძლოთ ლაპარაკი, მარუხის თოვლის სევდიან სიღუმეს გაუმხეულდნენ ქალიშვილს...

არა, კლდენი ლაპარაკობდნენ, საზარელ ამბავს ყვებოდნენ, მაგრამ ქალიშვილმა არ იცოდა ენა მთებისა. კლდენი ყვებოდნენ, ოცი წლის წინათ მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილზე წყდებოდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ბედი, ფაშისტური სეპტიკის აჩრდილი დაეცა საქართველოს მთებს. მტერს უნდოდა ბათუმთან შეერთება თურქეთის ჯართან. თურქი ღრინავდა და მოხრილი ნახევარმთვარითი ხარის რქასავით ირქიბებოდა. გერმანელებმა ყველაზე პოეტური სახელები შეარქვეს თავიანთ დივიზიებს, „ნახტიგალი" — ბულბული, „ედელვაისი"—ულამაზესი თეთრი ყვავილი. თითქოს ცა შემოსწყრა პოეზიისა და ცეცხლის ქვეყანას — კავკასიას — ბულბულისა და თეთრი ყვავილის ნიღაბით მოსულ გველებს უნდა დაემხამათ ის.

ქუდზე კაცი ადგა და მკერდი უფარა კლდეკარებს.

შენ, ქალიშვილო, მდინარეში თავის ქალა რომ დაინახე ოცი წლის წინათ ის ულაზაშმაწვანებული სვანი ვაჟკაცი იყო, გვარად წალანი. მაგრამ დაე, ვინ მთის მონათხრობს, ამ ჩემს ხმასაც ნუ გაიგონებ. მამაშენის ძვალი გეგონოს იგი.

ჯიხვიც ვერ გაივლიდა იქ, სადაც წალახს გაჰყვავდა მზვერავები. მთამსვლელი იყო უშმა წალახი. მონადირე და მეცხვარე ბიჭი. უშმასავით უკვდავი ეგონა იგი ყველას, იმიტომაც შეარქვეს უშმა.

...ერთხელ საბჭოთა მზვერავების ჯგუფს მიუძღოდა თვალშეუდგამ ქარიფეზე. დადამებამდე უნდა მიეღწია მღვიმემდე. ყინავდა, თოვლში ეფლოლულას. წალანი ხედავდა მის გალურჯებულ აკანკალებულ ბაგეს, ქუთუთოები ნერვიულად უთამაშებდა, წალანს სპირტის სუნი ეცა: შნაპსთი იყო გახეთქილი გერმანელი მზვერავი.

ფიქრის დრო არ იყო. წალანმა ჯერ ავტომატის ლულა აძგერა მკერდში მომხვდურს, მერე ხელი სტაცა ფრიცს მარჯვენაში, დანის წართმევა მოუნდომა.

უფსკრულის პირას სამკვდრო-სასიცოცხლო შეება ერთმანეთს ორი ჭაბუკი.

ქვრივდებოდა ორი გაუთხოვარი პატარძალი.

ცრემლი და ჭაღარა ემატებოდა ორ დედას.

ქარი ღრინავდა და უსტვენდა უფსკრულის თავზე.

მოქუფრული მწვერვალები ჩამავალი მზის სხივებმა სისხლისფრად შეღებეს.

წამით წამოდგა წალანი და მისი ვეებერთელა ლანდი დაეცა მწვერვალებს.

ხეობა ყვირილმა შესძრა. უფსკრარო ხევისკენ მიჰქროდა ფრიცი. ველური ყვირილი იყინებოდა ჰაერში.

წალანი როგორც წამოდგა, ისევე ჩაიკეცა. მარუხის თოვლს მეწამული ფერით ღებავდა ქართველი ვაჟკაცი.

ქარი სისინებდა გველივით.

ბოდნენ მზვერავები. სისინებდა მარტის თოვლივით ცივი ქარი და ფარაჯას უფრეწდა ჩალეწილ ლაფულ-ალეთ ამინდში ორბებიც თვლემენ, ნადირები მღვიმეებს ეფარებიან. ადამიანიც გამოქვაბულს ეძებს. ომმა თითქოს პირველყოფილ სადგომს დაუბრუნა ადამიანი, მის ხორცში ველური ენება გააღვიძა და ნადირივით სისხლი მოაწყურა.

საით შიდიხარ, ადამიანო?

შეჩერდი!

— რათ არის მარუხის თოვლი სისხლიანი? — ეკითხება წალანი მთებს, მყინვარებს, ქარებს...

მღვიმეებში ფიქრებივით გაყინულან სტალაქტიტები.

ირგვლივ თეთრი და ცივი დუმილი დგას.

ზვავები არ მოვარდნილან ზათქით და მერეხით. არც ვულკანებს ამოუფრქვეიათ ცეცხლი და ლავა.

და მაინც იფეთქა სიჩუმე მთებში.

წალანის ასხლეტილ ფიქრებულ გერმანელ მზვერავებს შეეფეთა. შეეფეთა და ხანჯლური ცეცხლი დაანთეს ავტომატებმა.

თოვლი ჯერ წითელი გახდა, მერე შავი, შუადღისას დაბნელდა უცებ.

...როდესაც გამოერკვა, წალანმა იგრძნო მკვდართან იწვა. როგორც კუბოში. გაიწია, ყინულის ლოლუები შემოიმტვრია და ფეხზე ადგომა სცადა. ხელები უკანკალებდა.

გვერდით კვნესა მოესმა. მერე უცხოურმა აიტყვეებმა გაბერილ ცივი ჰაერი.

ეათი ფართოდ გახელილი თვალები ერთმანეთს შეეფეთა. ფრიცმა მღვრიე თვალები შეახედა წალანის მრისხანე და დაღლილ სახეს და ფინური დანა იძრო. წალანმა ავტომატი ასწია და ახლა შეამჩნია, რომ ბაგშვური სახე ჰქონდა ფრიცს. წალანს უცნაურმა სურვილმა მოუარა. რატომ უნდა მოკლას იგი? მასაც ჰყავს დედა, სატრფო, სწყურია ბზე, სიცოცხლე. ვინ მისცა ადამიანს ადამიანის მოკვლის უფლება?

ფიქრის დრო არ იყო. გერმანელი მოიწევდა. წალანმა სუსტი ხმით უყვირა, ხევებმა დააბიხეს მისი ხმა:

— გადაადგე დანა!

მაგრამ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.

ფრიცი კი თავად ეძებდა სიკვდილს. ავტომატან მტერზე მოიწევდა დანით ხელში. მისთვის სულერთი იყო: მაინც სიკვდილი ელოდა მთებში.

წალანმა სასხლეტს დაჭირა თითი. ავტომატი დუმდა.

ნუთუ ტყვიები გათავდა?! ამ აზრმა ტყვიასავით გაუარა თავში წალანს. ფრიცმა ხელი ჩაავლო ავტომატის ბილიკი თითქოს წვიმას გაქცეოდა, მღვიმისკენ გარბის. შენც გაურბიხარ წვიმას, მღვიმეს გინდა თავი შეაფაროო, შედიხარ მღვიმეში, სიბნელეში რაღაც საგანს წაჰკარ ფეხი, ცეცხლმქრობივით აშაშინდა იგი და უცებ მთები შეაარყია ქუხილმა.

ექიმმ მერეხით გადაუარა ჭიუხებს. მწყემსები შეაძრწუნა ქუხილმა, ყვირილითა და თოფის სროლით უპასუხეს მთების რისხვას. მღვიმისაკენ მორბოდნენ ისინი.

და იხილეს საშინელი სურათი.

კართან ეყარა ქალიშვილის კაბის ნაფლეთები, სისხლი შეეხეფებოდა მღვიმის ნესტიან კედლებს, კართან ესვენა ნაღმით დაფლეთილი ქალწულის მკერდი, რომელსაც ჯერ არც ვაჟკაცის ხელი, არც ფუნჩიული ბავშვის ბაგე არ შეხებია.

გულშემზარავად ტიროდა მოხუცი მცნობარი და ხვევნი ზარით აძლევდნენ ბანს.

ზევით მთებში კი მყინვართა დიდი დნობის ჟამი დამდგარიყო და მარუხის თოვლში ოც წელს შემონახული გვამები მდინარეებს ჩამოჰქონდათ ძირს.

— რა მოხდა?

ვერავინ გაიგო, თუ ვინ იკითხა. იქნება მთებმა აიდგეს ენა და იკითხეს.

— ომის ექოა, ფაშისტთა დანატოვარი ნაღმები აფეთქდა გამოქვაბულში.

ვინ უპასუხა?

— ადამიანმა.

ჭაღარა მცნობარი კლდეებს ელაპარაკება კაცივით:

— აქ ფარეხი კი არა, „რა მექნას" ციხე მეგდა, ზედ ჯვარი მჭონდა ქარგად შებმული. ეხლა რაღა ვქნა?

სიყვარულის ასაკში რათ მოჰკალი ქალწული, სიკვდილო?

— იმედის" ციხე აიგე, მოხუცო, — ამბობენ მთები, — ზედ სიხარული შეაბი კარად.

ვარუხის მთებში წყალდიდობაა. ნიაღვარებს მოაქვთ სევდასავით მძიმე ლოდები. ხმაურობს ხევი, ბღავიან ირმები.

მთებში კვლავ მოვა ქამი მყინვართა დიდი დნობისა, ახმაურდებიან ნიაღვრები, მაგრამ ისინი არასოდეს არ ჩამოიტანენ ადამიანთა გვამებს მთიდან.

კლდიდან დაგორებული ქვებიც ნატრობენ მარუხის მთებში: — ნეტავ არ გავხდეთ ქვა საფლავისა.

და მარუხის თოვლში მზისკენ მიიწევენ თეთრი ყვავილები.

ვლ. ალფენიძე.

ოპერა

23 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ტრავიატა (მე-17 აბონ. მე-6 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ქუთათურები (მე-8 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — ბუფთიანი გოგონა (მე-5 აბონ. მე-2 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი ღღე (აბონ. გარეშე), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — სიძღერა თბილისზე, **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 15, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (11 ს. და 2 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ფელეტონი

23 თებერვალი

18.00 — „ღღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი", 18.45